სახელმწიფო აუდიტის სამსახური

“ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ”

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

ზურაბ ბუცხრიკიძე

„6“ ივლისი 2013 წელი

ეგზ 2

თვითმმართველი ქალაქი ფოთის გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვის და ქალაქის გამწვანების ღონისძიებების შესაბამისობის აუდიტის

ანგარიში № 10/00

(01/01/2009-31/12/2011)

2013

სარჩევი

შესავალი 3
აუდიტის ძირითადი მიზანი 3
აუდიტის ანგარიშის დანიშნულება 3
აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა 4
აუდიტორის პასუხისმგებლობა 4
საგზაო ინფრასტრუქტურის პროგრამა 6
ბიუჯეტის დაგეგმვა და ფინანსური უზრუნველყოფა 6
შესყიდვების სტატისტიკური მიმოხილვა 8
კონკრეტული დარღვევა-ნაკლოვანებები 9
ქალაქის გამწვანების პროგრამა 13
კონკრეტული დარღვევა-ნაკლოვანება 14
აღრიცხვა - კონტროლი 15

შესავალი

აუდიტის ძირითადი მიზანი

აუდიტის ძირითად მიზნებს წარმოადგენს:

ა) ქ.ფოთის მერიის მიერ გზების მშენებლობა-რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის და გამწვანების ღონისძიებებთან დაკავშირებული ფინანსური სახსრების ხარჯვის, გამოყენების, მართვისა და დაცვის, კანონიერებისა და მიზნობრიობის შესწავლა და ანალიზი;

ბ) გზების მშენებლობა-რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის და გამწვანების ღონისძიებების ფინანსური და სხვა რესურსების გამოყენების, მართვის სფეროში განხორციელებული საქმიანობისა და მიღებული გადაწყვეტილებების, ეკონომიურობისა და პროდუქტიულობის შეფასება.

აუდიტის ანგარიშის დანიშნულება

აუდიტის ანგარიში არის საჯარო, რომლის დანიშნულებაა საზოგადოებას და ქალაქ ფოთის მერიის საქმიანობით დაინტერესებულ ნებისმიერ მხარეს მიაწოდოს ინფორმაცია ყველა იმ საკითხზე, რომელიც ანალიზის, რისკების ან/და ნაკლოვანებების სახით გამოვლენილ იქნა 2009 -2011 წლების ქ. ფოთის გზების მშენებლობა-რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის და გამწვანების ღონისძიებების შესაბამისობის აუდიტის ფარგლებში.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა ორგანიზაციაში დანერგილი შიდა კონტროლის სისტემის იმდაგვარი ზედამხედველობა, რომ ქ. ფოთის გზების მშენებლობა-რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის და გამწვანების ღონისძიებების ფარგლებში განხორციელებული ძირითადი საქმიანობა შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებს. გარდა ამისა ხელმძღვანელი პასუხისმგებელია აუდიტორებისათვის მოწოდებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი აუდიტის საფუძველზე გამოთქვამს მოსაზრებას თუ რამდენად შეესაბამება აუდიტის ობიექტის მიერ განხორციელებული საქმიანობა მოქმედ კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებს. აუდიტი ჩატარებულია აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით და აუდიტორების მიერ დაცული იქნა ყველა ის ეთიკური მოთხოვნები, რასაც ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობა და სხვა მარეგულირებელი ნორმები.

პირადი განსჯის საფუძველზე აუდიტორი ირჩევს პროცედურებს რაც მისი მოსაზრებით საჭიროა აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად და აუდიტის ობიექტის საქმიანობაში არსებული უზუსტობებისა და რისკების შესაფასებლად, რომელიც თავის მხრივ გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით.

აუდიტორის მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები განიხილება როგორც საკმარისი და შესაფერისი საფუძველი აუდიტორული მოსაზრებების გამოსათქმელად.

აუდიტის საფუძველი - საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის პირველი მოადგილის 2012 წლის 20 იანვრის №8/39 წერილი.

აუდიტის ობიექტი - ქალაქ ფოთის მერია. იურიდიული მისამართი: ქ. ფოთი, აღმაშენებლის №12.

აუდიტის პერიოდი - 2009 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 1 იანვრამდე.

შემოკლებანი:

თვითმმართველი ქალაქის ფოთის მერია - მერია;
თვითმმართველი ქალაქი ფოთის ბიუჯეტი - ბიუჯეტი;
ერთ პირთან მოლაპარაკება - ეპმ;
სახელმწიფო შესყიდვა - შესყიდვა;
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება - ხელშეკრულება;
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება - შპს.

საგზაო ინფრასტრუქტურის პროგრამა

საგზაო ინფრასტრუქტურის პროგრამა მოიცავს:

1. *გზების მშენებლობა-რეკონსტრუქცია.* აღნიშნული გულისხმობს: ადგილობრივი მნიშვნელობის გზების და ხიდების მშენებლობა-რეკონსტრუქციას, არსებული დაზიანებული გზის საფარის დემონტაჟს, ქუჩების ასფალტირებას, ბეტონის ზედნაშენებისა და სანაპიროზე დამცავი ბორდიურების მოწყობას, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფას, საგზაო ნიშნების მოწყობას, ქუჩების მონიშვნას, ტურისტული და შიდა საქალაქო ავტობუსების შეძენას.
2. *გზის საფარის მოვლა-პატრონობა.* სამუშაო გულისხმობს: გზების მიმდინარე შეკეთებას, ორმულ შეკეთებას, დაზიანებულ ტერიტორიაზე საფარის დემონტაჟს და ახალი ასფალტო-ბეტონის დაგებას, ქუჩების მოხრეშვა-დაგრეიდერებას.

2009-2010 წლებში ქალაქ ფოთში არსებული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, მათ შორის მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენდა. 2011 წელს კი გზების კაპიტალური შეკეთების სამუშაოები პრაქტიკულად არ განხორციელებულა შემდეგი მიზეზების გამო:

1. სასმელი წყლის ქალაქის შიდა ქსელის რეაბილიტაცია;
2. ქალაქის გაზიფიკაციის შიდა ქსელის რეაბილიტაცია;
3. კანალიზაციის შიდა ქსელის რეაბილიტაცია.

ბიუჯეტის დაგეგმვა და ფინანსური უზრუნველყოფა

გზების მშენებლობა-რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება ქ. ფოთის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით და ასევე სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერით. 2009-2011 წლებში ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაიხარჯა **1,403.9** ათასი ლარი, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან 1,950.3 ათასი ლარი, რომელიც მოხმარდა ქ.ფოთში სხვადასხვა ქუჩების კაპიტალურ შეკეთებას.

დიაგრამა №1.

ქ.ფოთის საგზაო ინფრასტრუქტურის ბიუჯეტი(ათასი ლარი)



2009 წლის ბიუჯეტში გზების მშენებლობა-რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვის ღონისძიებებისათვის დამტკიცებული ასიგნება შეადგენდა 210.0 ათას ლარს. წლის განმავლობაში განხორციელდა 6 ცვლილება და დაზუსტებულმა თანხამ შეადგინა 497.2 ათასი ლარი, საიდანაც მოხდა 473.1 ათასი ლარის საკასო ხარჯის გაწევა. 2010 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული 1 585.0 ათასი ლარის ასიგნება, წლის განმავლობაში დაზუსტდა[1] და შეადგინა 2880.2 ათასი ლარი. 2011 წელს კი დამტკიცებული ასიგნება თანხით 179.0 ათასი ლარი შემცირდა[2] 3.0 ათას ლარამდე.

ქ.ფოთის საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების პროგრამის დაგეგმვის შემოწმებისას გამოვლინდა სხვადასხვა სახის ხარვეზები, რომლებმაც საბოლოოდ გავლენა იქონია საბიუჯეტო სახსრების ეკონომიურად ხარჯვაზე. კერძოდ:

1. ქალაქ ფოთის საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების პროგრამა არ ეფუძნება ქალაქის განვითარების პროგრამებსა და პროექტებს. არ არსებობს პროგრამის განხორციელების მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმა.
2. ქუჩები არ არის დაყოფილი კატეგორიების, აღდგენის საჭიროებისა და ფუნქციების მიხედვით.
3. ადგილობრივ ბიუჯეტის პროგრამაში თანხები იდება გათვლებისა და ფინანსური კალკულაციის გარეშე.

[1] განხორციელდა 6 ცვლილება
[2] განხორციელდა 3 ცვლილება

გამოვლენილი ტენდენცია:

ბიუჯეტის დაგეგმვისა და შესრულების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ხშირია დამტკიცებული ბიუჯეტით გამოყოფილი თანხების კორექტირება, რაც მიუთითებს ბიუჯეტის არასწორ პროგნოზირებასა და დაგეგმვაზე.

ადგილობრივ ბიუჯეტში კონკრეტულ პროგრამაზე თანხები იდება გათვლებისა და წინასწარი ანალიზის გარეშე, რაც ზრდის რისკს, რომ სახსრები გამოყენებულ იქნას არაეკონომიურად შესყიდვების არაკონკურენტულ გარემოში განხორციელების შემთხვევაში.

რეკომენდაცია:

- ✓ ქ. ფოთის მერიამ უზრუნველყოს საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების გრძელვადიანი გეგმის შემუშავება და საქმიანობა წარმართოს აღნიშნული გეგმის შესაბამისად;
- ✓ ადგილობრივმა ხელისუფლებამ უზრუნველყოს შესყიდვების განხორციელებისას სათანადო კალკულაციების წარმოება, რომლის საშუალებითაც შესყიდვის სავარაუდო ფასი მაქსიმალურად მიუახლოვდება საბაზრო ფასს და საბოლოო ჯამში შემცირდება სახსრების არაეკონომიურად გამოყენების ფაქტები.

შესყიდვების სტატისტიკური მიმოხილვა

2009-2011 წლებში გზების მშენებლობა-რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვის ღონისძიებებისათვის საჭირო საქონლისა და მომსახურების შესყიდვა განხორციელდა 3 ტენდერის, 2 ფასთა კოტირების და 20 ერთ პირთან მოლაპარაკების (გამარტივებული შესყიდვის) გზით.

ცხრილი №1

განხორციელებული შესყიდვებისას გამოყენებული შესყიდვის საშუალებები

2009-2011 წწ.

	ეპმ (გამარტივებული შესყიდვა)		ფასთა კოტირება		ტენდერი		სულ
	რაოდენობა	თანხა(ათასი)	რაოდენობა	თანხა(ათასი)	რაოდენობა	თანხა(ათასი)	თანხა(ათასი)

2009 წელი	9	81,9	2	391,2			473,1
2010 წელი	10	107,3			3	2772,4	2879,7
2011 წელი	1	1,4					1,4
სულ	20	190,6	2	391,2	3	2772,4	3354,2

კონკრეტული დარღვევა-ნაკლოვანებები

- *შპს „გეომშენი-2004" - გზების კაპიტალური შეკეთების სამუშაობის შესყიდვა*

1. ტენდერი

2010 წელს გზების კაპიტალური შეკეთების სამუშაოების შესყიდვისას სატენდერო კომისიამ განსაზღვრა გამარჯვებულის გამოსავლენად შეფასების შემდეგი კრიტერიუმები:

1. სატენდერო წინადადების ღირებულება - 0,35;
2. სამუშაოს შესრულების ვადები და კალენდარული გეგმა - 0,3;
3. ანგარიშსწორების ფორმები და პირობები - 0,25;
4. ბოლო 3 წლის შესრულებული სამუშაოები - 0,1.

სატენდერო კომისია გამოცხადებული ტენდერის შეფასებისას პროცედურების ორი ალტერნატიული მეთოდიდან იყენებდა ფორმულით შეფასების მეთოდს.[3]

დამტკიცებულ კრიტერიუმებში შერჩეულია ერთ-ერთ კრიტერიუმად „ანგარიშსწორების ფორმები და პირობები", რაც არ შეიცავს ციფრობრივად გამოსახულ მაჩვენებელს. ტენდერის ფორმულით შეფასებისას დამტკიცებული ოთხი კრიტერიუმიდან გამოყენებულ იქნა მხოლოდ სამი. აღნიშნული შეუსაბამობაშია შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანებით დამტკიცებულ „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების 21-ე მუხლის 21.11 ქვეპუნქტის მოთხოვნასთან, რაც გულისხმობს - „ფორმულით შეფასებისას გამოყენებულ თითოეულ კრიტერიუმს უნდა გააჩნდეს ციფრობრივად გამოსახული ხვედრითი წონა ჯამურ შეფასებაში. ამასთან, ყველა კრიტერიუმის პრიორიტეტულობის კოეფიციენტების ჯამი უნდა უდრიდეს ერთ მთელს". ამდენად, სატენდერო კომისიამ არ შეაფასა ერთი კრიტერიუმი - „ანგარიშსწორების ფორმები

[3] აღნიშნულ მეთოდს იყენებდა 2009-2010 წლებში

და პირობები", რის გამოც შერჩეული მეთოდით პრეტენდენტების შეფასება არასწორია.

კომისიის მიერ სამუშაოს შესრულების ვადებს და კალენდარულ გეგმას აღნიშნული მაღალი კოეფიციენტი მინიჭებული აქვს ისე, რომ სამუშაოების დაჩქარებულად მცირე დროში (მოკლე ვადაში), დასრულების არც აუცილებლობა და არც მოთხოვნილება არ იყო[4]. სატენდერო განცხადებაში სამუშაოს განხორციელების ვადა განსაზღვრული იყო 7 თვით.

სატენდერო კომისიამ ტენდერში მონაწილე ორი ფირმიდან შეფასების არასწორად შერჩეული მეთოდითა და აღნიშნული კოეფიციენტების გამოყენებით უპირატესობა მიანიჭა შპს ,,გეომშენი-2004-ს", რომელმაც მის კონკურენტზე **109.0 ათასი ლარით** უფრო ძვირი სატენდერო წინადადება წარმოადგინა[5]. უფრო მაღალი სატენდერო წინადადების მქონე პრეტენდენტს უპირატესობა მიენიჭა შესრულების ვადების გამო.

შპს ,,გეომშენი-2004-მა" სამუშაოს შესრულების ვადად წარმოადგინა ხელშეკრულების გაფორმებიდან 25 დღე, ხოლო მისმა კონკურენტმა კი - 120 დღე. სამუშაოების შესრულება სხვადასხვა მიზეზებით გადაიდო და საბოლოოდ დასრულდა 215 დღეში.

აღსანიშნავია, რომ სამუშაოების გადადების ძირითად მიზეზს წამოადგენდა მუნიციპალური განვითარების ფონდის[6] მიერ ფოთში განხორციელებული წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაციის სამუშაოები. შესაბამისად სამუშაოების ხელშეკრულების გაფორმებიდან 25 დღეში შესრულება შეუძლებელი იყო ობიექტური მიზეზების გამო და მერიის შესაბამის სამსახურებს აღნიშნული გარემოება უნდა გაეთვალისწინებინათ.

გამოვლენილი ტენდენცია

ფოთის მერიის სატენდერო კომისიის მიერ არასწორადაა შერჩეული შეფასების მეთოდი, ხოლო ტენდერის საკვალიფიკაციო მოთხოვნას, ,,სამუშაოს შესრულების ვადებსა და კალენდარულ გეგმას", აუცილებლობისა და დასაბუთების გარეშე მინიჭებული აქვს მაღალი კოეფიციენტი, რამაც გამოიწვია ტენდერში მაღალფასიანი სამუშაოს წარმომდგენი პრეტენდენტის გამარჯვება. სატენდერო წინადადების ღირებულებასა და შესრულების ხარისხზე ძირითადი პრიორიტეტის მინიჭების

---

[4] მოსაწესრიგებელი იყო მიწისქვეშა ინფრასტრუქტურა. ამიტომ საჭირო იყო ჯერ აღნიშნულის განხორციელება და შემდეგ სავალი ნაწილის დაგება.

[5] შპს „გეომშენი-2004" – 1759.0 ათასი ლარი, შპს „არქეოპოლისი" – 1650.0 ათასი ლარი.

[6] მგფ-ის მიერ სამუშაოები მიმდინარეობდა მაისიდან ოქტომბრის თვის ჩათვლით.

შემთხვევაში ტენდერში მონაწილე ფირმებიდან გაიმარჯვებდა დაბალი ფასის წარმომდგენი შპს „არქეოპოლისი“ და ფოთის მერია ზედმეტად არ გაწევდა ბიუჯეტიდან **109.0 ათასი** ლარის ხარჯს.

რეკომენდაცია:

- ✓ გზის სამუშაოების დაგეგმვისას სასურველია ყურადღება გამახვილდეს პირველ რიგში მიწისქვეშა ინფრასტრუქტურის გამართვაზე, რადგან არ წარმოიშვას ისეთი ფაქტები როცა საჭირო გახდება ახლადდაგებული გზის სავალი ნაწილის აღება, რომ შემდეგ მოწესრიგდეს მიწისქვეშა ინფრასტრუქტურა.
- ✓ ყურადღება გამახვილდეს და სატენდერო დოკუმენტაციაში დაფიქსირდეს შესრულების ობიექტური ვადები და განისაზღვროს შესასრულებელი სამუშაოს ხარისხი.

❑ *შპს „სანი“ - გზების კაპიტალური შეკეთების სამუშაოები*

2010 წელს გზების კაპიტალური შეკეთების სამუშაოების შესყიდვაზე გამოცხადებული ტენდერი ჩატარდა კონკურენტული გარემოს არ არსებობის პირობებში. კერძოდ, სატენდერო პაკეტი გაიტანა 3-მა პრეტენდენტმა - შპს „სან“-მა, შპს „გეომშენი-2004“-მა და შპს „ინდიკო“-მ, საიდანაც ორმა უკანასკნელმა პრეტენდენტმა სატენდერო დოკუმენტაცია არ წარმოადგინა.

შპს „სანი“ -ს მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები სატენდერო კომისიამ დამაკმაყოფილებლად ჩათვალა და გამოაცხადა გამარჯვებულად. სახელშეკრულებო ღირებულებამ შეადგინა 1045.0 ათასი ლარი, ხოლო შპს „სან“-მა შეასრულა 706.3 ათასი ლარის სამუშაო.[7]

ტენდერში მერიის მიერ სამუშაოების შესრულების სავარაუდო სახარჯთაღრიცხვო ღირებულება მაღალია ანალოგიური სამუშაოების საბაზრო ფასებთან შედარებით. მაღალი შესყიდვის სავარაუდო ღირებულების და ტენდერზე უკონკურენტო გარემოს გამო ფოთის მერიამ საბაზრო ღირებულებაზე მეტი ხარჯი გაწია.

---

[7] შპს „სან“-ის მიერ 338.7 ათასი ლარის სამუშაო არ ჩატარებულა წყალსადენის სამუშაოების მიმდინარეობის გამო.

ცხრილი №2

შპს „სანის“, „არქეოპოლისისა“ და „ინდიკოს“ მიერ მიწოდების ფასების ურთიერთშედარება

	შპს "სანი "			შპს "არქეოპოლისი " (შპს "ინდიკო")	შპს "გეომშენი 2004"	სხვაობა შპს "სან"-სა და შპს "ინდიკო"-ს შორის			სხვაობა შპს "სან"-სა და შპს "გეომშენი 2004"-ს შორის		
სამუშაოს დასახელება	კვ/მ	ერთ.ფასი	სულ ღირ-ბა	ერთ-ის ფასი	ერთ-ის ფასი	ერთ-ის ფასი	%	სხვაობა ფასით	ერთ-ის ფასი	%	სხვაობა ფასით
მსხვილმარცვლოვანი საფარი (5სმ)	16,106	15	241,600	13.6	11	1.4	9.3%	22,550	4	26.6%	64,424
წვრილმარცვლოვანი საფარი (3 სმ)	19,028	14	266,400	8.9	12.5	5.1	36%	97,040	1.5	10.70%	28,540
სულ								119,590			92,964

❑ შპს „ინფრასტრუქტურა 2008“ - ტურისტული ავტობუსის ექსპლოატაცია

2010 წელს ქ. ფოთის მერიამ შპს „ფოთი-ენერგო“-სგან შეიძინა 2 საქალაქო და 1 ტურისტული ავტობუსი, 308.0 ათას ლარად.

შესყიდული ავტობუსებიდან მერიამ ორი საქალაქო ავტობუსი, რომლის ღირებულებაა 151.0 ათასი ლარი, გადასცა შპს „ფოთიქალაქტრანსპორტ“-ს, ხოლო ტურისტული ავტობუსი, რომლის ღირებულებაა 157.0 ათასი ლარი, შპს „ინფრასტრუქტურა-2008“-ს[8], რომელიც ახორციელებს კეთილმოწყობის სამუშაოებს და თავისი საქმიანობისათვის აღნიშნული სატრანსპორტო საშუალება არ ესაჭიროებოდა.

შპს „ინფრასტრუქტურა 2008“-ს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ტურისტულმა ავტობუსმა შეძენიდან 2012 წლის 26 მარტამდე სულ გაიარა 46.8 ათასი კმ, საიდანაც წარმოდგენილი მონაცემებით აღრიცხულია 15.1 ათასი კმ-ის გავლა[9]. ავტობუსის მიერ 31.7 ათასი კმ-ის მანძილზე გავლილი მარშრუტები აღრიცხული არ არის. არსებობს ავტობუსის გაქირავებით მიღებული შემოსავლების დამალვის რისკი, რომელიც საშუალოდ შეადგენს 1 კმ-ზე 0.5 ლარს, ხოლო 31.7 ათას კმ-ზე - **15.9 ათას ლარს.**

---

[8] ორივე შპს მერიის მიერ დაფუძნებულია 100 %-ანი წილობრივი მონაწილეობით.

[9] 14.05.2010-დან 21.02.2012-მდე ავტობუსის გაქირავებიდან მიღებული აღრიცხული შემოსავლების ოდენობა შეადგენს 4,130 ლარს, ხოლო მის შენახვაზე გაწეული ხარჯები - 15,594 ლარს.

რეკომენდაცია:

- ✓ ფოთის მერიამ სასურველია განსაზღვროს ავტობუსის გამოყენების სფერო და მოახდინოს მისი დანიშნულებით გამოყენება, შესაბამის დარგში კვალიფიცირებული კერძო სამართლის იურიდიული პირის საშუალებით.

ქალაქის გამწვანების პროგრამა

ქ.ფოთში გამწვანების პროგრამის ძირითადი მიზანია ქალაქის იერსახის გაუმჯობესება, ეკოლოგიური საკითხების მოგვარება, ტურიზმის ხელშეწყობა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება ქალაქში.

პროგრამა მოიცავს სხვადასხვა სახის ღონისძიებებს, რომლითაც საბოლოო ჯამში მიიღწევა ძირითადი მიზანი. ეს ღონისძიებებია:

1. *ბუჩქოვანი და ხე-მცენარეების შეძენა-განაშენიანება.* 2009-2011 წლებში გათვალისწინებული იყო სხვადასხვა მრავალწლიანი ნარგავების დარგვა;
2. *სეზონური ყვავილების შეძენა და დარგვა;*
3. *ბაღების, სკვერების, გაზონების სარეაბილიტაციო სამუშაოები.* (სკვერებისა და პარკების ინფრასტრუქტურის აღდგენა, ძელსკამების განახლება, სკვერებში განათების რეაბილიტაცია-მოწყობა, მწვანე საფარის და ნარგავების აღდგენა);
4. *მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა.* (ხეების გადაბელვა, მოჭრა-დამუშავება, ბუჩქების გაკრეჭა, კირით შეთეთრების სამუშაობი, გაზონების და ბორდიურების გაწმენდა, ქალაქის ტერიტორიის გარკვეული ნაწილის გადათოხნა-გადაბარვა, მწვანე კოინდარის მოვლა, ბაღებისა და სკვერების გასუფთავება სარეველებისაგან).

ქ. ფოთის მერიის მიერ 2009-2011 წლებში გამწვანების ღონისძიებებსა და სკვერების მოვლა-პატრონობაზე დაიხარჯა სულ 508.9 ათასი ლარი. მათ შორის: 253.9 ათასი ლარი გამწვანების სამუშაოებზე და 255.0 ათასი ლარი პარკების მოვლა-შენახვაზე.

ქ. ფოთის მერიის მიერ 2009 წელს გამწვანების ღონისძიებებზე დაიხარჯა 25.0 ათასი ლარი. პარკებისა და სკვერების მოვლა პატრონობაზე 75.0 ათასი ლარი. 2010

წელს გამწვანების ღონისძიებებზე შესრულებულია 58.9 ათასი ლარის სამუშაო, პარკებისა და სკვერების მოვლა პატრონობაზე 90.0 ათასი ლარი. 2011 წელს კი გამწვანების ღონისძიებებზე 170.0 ათასი ლარი, პარკებისა და სკვერების მოვლა პატრონობაზე 90.0 ათასი ლარი.

2009-2010 წლებში მწვანე ნარგავებისა და ყვავილების შეძენა და დარგვა გათვალისწინებული არ არის, ხოლო 2011 წელს შეძენილია 85.3 ათასი ლარის მცენარეები, აქედან 15.3 ათასი ლარის ღირებულების ყვავილები.

გამწვანების ღონისძიებების ძირითადი მიმწოდებელია[10] შპს „ქ.ფოთის კულტურისა და დასვენების პარკი", რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის კუთვნილი კერძო სამართლის იურიდიული პირია.

კონკრეტული დარღვევა-ნაკლოვანება

შპს „კულტურის და დასვენების პარკი"-დან გამწვანების სამუშაოების შესყიდვა

2011 წელს მერიასა და შპს ,,კულტურისა და დასვენების პარკს" შორის გაფორმდა ხელშეკრულება გამწვანების სამუშაოების შესყიდვის თაობაზე, 150.0 ათასი ლარის ღირებულებით. ყვავილები შერჩეულ იქნა ადგილობრივი კლიმატური პირობების გათვალისწინების გარეშე, რის გამოც **33,3 ათასი ლარის** ღირებულების[11] ყვავილების სასიცოცხლო პერიოდი ხანმოკლე აღმოჩნდა და დარგვიდან მოკლე დროში განადგურდა. ასევე შპს „კულტურისა და დასვენების პარკის" მიერ მოწოდებული 10.0 ათასი ლარის პალმების უმრავლესობა გამხმარია; 620 ძირი ვარდიდან ადგილზეა მხოლოდ 392 (არ დარგულა ან დაკარგულია 1094.2 ლარის ღირებულების ვარდები).[12]

რეკომენდაცია:

- ✓ შესასყიდი მცენარეების შერჩევისას ქალაქ ფოთის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურმა გაითვალისწინოს ქალაქის კლიმატური პირობები და ნიადაგის თავისებურებები.

---

[10] მთლიანი მიწოდების 82 %

[11] ყვავილების ღირებულებაში ასახულია დარგვის ღირებულებაც

[12] ერთი ძირი ვარდის ღირებულებაა 4.8 ლარი.

გაუთვალიწინებელი ხარჯი

შპს „საქართველოს ეთერზეთებს“ 2011 წელს შესრულებული აქვს ქუჩების გასაფორმებლად სეზონული ყვავილების შეძენა–დარგვის სამუშაოები თანხით 20.0 ათასი ლარი[13], ხარჯთაღრიცხვაში ჩადებული იყო გაუთვალისწინებელი ხარჯებიც. არ არის წარმოდგენილი აღნიშნული ხარჯების გაშიფრვა, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოები. შესაბამისად – **1.7 ათასი** ლარის ხარჯის დადასტურება ვერ მოხერხდა.

აღრიცხვა - კონტროლი

გზების მშენებლობა-რეკონსტრუქციის, მოვლა-შენახვისა და გამწვანების ღონისძიებებთან დაკავშირებით კონტროლის მექანიზმები სუსტია. მერიის შესაბამისი სამსახურების ინსპექტირების ჯგუფები ვერ ასრულებდნენ დაკისრებულ მოვალეობებს სრულად.[14] *კერძოდ*:

2009 წელს შპს „გეომშენი-2004“-ის მიერ გზის კაპიტალურ შეკეთებაზე შესრულებული სამუშაოებიდან 2.4 ათასი ლარის ღირებულების და 2010 წელს შპს „სან“-ის მიერ 9.0 ათასი ლარის ღირებულების ორმულ სამუშაოებზე არ მომხდარა ფარული სამუშაოების აქტების გაფორმება. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, კონტროლი ხორციელდებოდა ზედამხედველობის ჯგუფის მიერ სამუშაოების ვიზუალური დათვალიერების შემდეგ შესრულებული სამუშაოების აქტებზე ხელის მოწერით, ხოლო ხელშეკრულებების თანახმად, შემსყიდველმა ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე უნდა განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე (მათ შორის მომსახურების ხარისხის პერიოდული ინსპექტირება), რაც არ მომხდარა.

სააუდიტო პერიოდში გზების კაპიტალურ შეკეთებაზე შესრულებული სამუშაოები და გამწვანების ღონისძიებების განხორციელებისათვის შეძენილი მრავალწლიანი ნარგავები მერიის მიერ ბუღალტრულად ასახული არ არის და არსებული ქონება მერიის საბალანსო ანგარიშებზე არ ირიცხება.

---

[13] 2011 წლის 19 დეკემბერის ე.პ.მ.–ის ხელშეკრულება N436.

[14] არ ხდებოდა შესასრულებული სამუშაოების შესრულების თაობაზე ოქმების შედგენა და დოკუმენტურად ასახვა.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აუდიტორი: გიორგი შურღაია	ხელმოწერა		თარიღი 04.03.2013
აუდიტორი: ლია გუჯაბიძე	ხელმოწერა		თარიღი 04.03.2013.
აუდიტორ–ასისტენტი: თეა არველაძე	ხელმოწერა		თარიღი 04.03.2013